# სახალხო გაზეთი

№ 807 შაბათი, 26 იანვარი 1913 № 807

**განცხადების ფასი** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სიდამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება, ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახაზის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ. „ „ თვეში 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

**სურათებიანი დამატება**

(კვირაობით)

**პრემიად** 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—**კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.

2) **ქართველი ერის ისტორია**, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წლიწადში **8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

**ათი შაური** უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

**წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ. ნაწილობით**

**მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:**

1) „სახალხო გაზეთი"-ს კანტორაში, (სახაზის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).

2) ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში,

3) ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.


ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების **გამგეობა** აცხადებს, რომ კვირას, 27 იანვარს, **ქვაშვეთის ეკლესიაში** გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი წ.-კ. საზოგადოების დამფუძნებელ წევრის, საზოგადო მოღვაწის **პროფესორის**

## ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილის

სულის მოსახსენებლად წირვა დაიწყება დილის 9½ საათზე, პანაშვიდი ნაშუადღევის 1 საათზე. 1036

---

**თამარ იასონის ასული ქუმსიშვილისა შვილებითურთ და გიორგი თევდორეს ძე ჟორდანია** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი—საყვარელ შვილის, მეორენი—დაუვიწყარ ძმის და მესამე—ძვირფას ცოლის ძმის, ფოთის პოლკის პორუჩიკის

## ილია ილიას ძის ქუმსიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. პ. ნაშვიდი დღეს, საღამოს 8 საათზე, (ნიკოლოზის და ტურგენევის ქუჩის ქიმი, სახლი № 37/2). დაკრძალვა ხვალ, **27 იანვარს**, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. მიცვალებულის ცხედარს გამოასვენებენ ბინიდან ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დილის **სრულ 9 საათზე.** 70

---

22 იანვარს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## მღვდელი ლავრენტი ქართველოვი,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **შვილი მიხეილ ლავრენტის ძე ქართველოვი სახლობით.** დაკრძალვა დანიშნულია შაბათს, 26 იანვარს, გორის მართლმადიდებელთა სასაფლაოს ეკლესიაში 68

---

## ახალი კლუბი

**შაბათს, 26 იანვარს,**

## მასკარადი

საუკეთესო მასკებისთვის **ორი საჩუქარი** ჟიურის გადაწყვეტილებით.

## ცეკვა.

ქალების მასკებისთვის ბილეთები შვეიცართან ჟ. უ. წევრების რეკომენდაციით. დასაწყისი საღამოს 10 საათზე. 1017,

---

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ქლექისა-** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით, იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **ხოლოლო-ქი**, ბებუთოვის ქ., № 23 (დანოვის ქ. კუთხე). **ტელეფ. 7—92.** 847

---

## „ძმ. ა. და ა. მილოვების"
## სავაჭრო სახლის
**ხელზე ვაჭრობის განყოფილება**

**გოლოვინის პროსპ., საკადეტო კორპუსის პირდაპირ.**

გასულ წელთა მაგალითებისამებრ, მხოლოდ **ერთხელ წელიწადში!**

## დარჩა მხოლოდ ერთი დღე 26 იანვარი.

დარჩენილ საქონლის **დიდი ვაჭრობა**

და საზამთრო სეზონისაგან გადარჩენილ ყოველნაირ სავაჭროსი.

✦ **დიდი იაფ-ფასიანი ვაჭრობა** ✦

აბრეშუმეულობისა, მატყლეულობისა, მაუდის, ტილოს და ბამბეულობის საქონელი; სუფრები, საბნები, შალი, **პორტიერებისა და ტიულისა, ინგლისისა და რუსეთის ფირმების** მაუდის საქონელი.

სადილის დროს 2½ საათიდან 4 საათამდე მაღაზია დაკეტილი იქნება.

1027

---

**ტელეფ. № 795.** **ქართული თეატრი** წარმოდ. № 46.

## ს ა ლ ა მ ო
**ავქსენტი ცაგარლის სახსოვრად**

**კვირას, 27 იანვ.**, ქართ. დრ. საზ. დასის მიერ

**ავქსენტი ცაგარლის** გარდაცვალებიდან **10** წლის თავის აღსანიშნავად

გაიმართება **სადღესასწაულო საღამო**

სამს განყოფილებად: ბ-ნი **კ. ი. ანდრონიკაშვილი** წაიკითხავს **რეფერატს**, 2) წარმ. იქნება: **რაც გინახავს, ვეღარ ნახავ**, კომ. 3 მ. **ა. ცაგარლისა.**

3) **მ ა თ ი კ ო**, მე-3-ე მოქ. **ა. ცაგარლის** კომედიიდან.

4) **აპოთეოზი ცოცხალი ტიპებისა ა. ცაგარლის** თხზულებიდან.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: აბაშიძე, გოგოლაშვილი, დავითაშვილი, ლოლუ, ქიქოძე, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: აბაშიძე, აბდუშელი, ალექსიძე, ბერიშვილი, გამყრელიძე, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მესხი, მატარაძე, ქევიძე, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი, შანშიაშვილი.

**დასაწყ. საღ. 8 ს.** ადგილებ. ფასი ჩვეულებრივია:

რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.** ქართ. დრ. საზ. ადმინისტრ.

**ანონსი:** ხუთშ., 31 იან., **ტასო აბაშიძის** საბენეფისოდ წარმ. იქნება ცნობილი პიესა „კეისარი და კლეოპატრა". 1013

---

**კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი**

**შაბათ, 26 იანვ.**, სახ. სახ. არს. ქართ. სახ. წარ. მმართ. წრის მიერ მსახ., **კ. ყიფიანის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## მ ს ხ ვ ე რ პ ლ ი
დრამა 3 მოქ. სოფლის ცხოვრებიდან ი. გედევანიშვილისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი ანტუანეტა, ს. ანკარა, ს. ბადრიძე, მ. გოგოლაშვილი, გოდერძი, ბ. კორინთელი, კახელი, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, მ. რომანიშვილისა. ბ-ნნი გ. ანაშვილი, ს. არშაკუნი, ანტოშკა, არეშიძე, ნ. გოცირიძე, გელიკურაშვილი, ვ. განჯელი, ილ. ზურაბიშვილი, ივერიელი, ს. თავდიშვილი, ს. კავაძე, ვ. ნინიძე. ს. რომანიშვილი, რევია, გ. სვანელი, რ. სალაყაია, სავიცკი, სტურუა, ლ. სამადაშვილი, გ. ფრონის-პირელი, ქვიშხეთელი, კ. ყიფიანი, ყარსიმაშვილი, დ. ჩიქოვანი, მ. ჭიაურელი, ჭუმბურელი, ნ. ჭანკვეტაძე, კ. ხახანაშვილი, გ. ჯაბაური და თანამშრომელთა მთელი ჯგუფი.

შემდეგი წარ. 3 თებერ., მზადდება „ღალატი". ბილეთ. ფასი 5—5) კ. **დასაწყ. საღ. 8 ს.**

1034 რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** წრის ადმინ.

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან**

**ძმების ქუჩ. ა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მუხრანის სასტუმროს ახლო.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 5 9 0.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

ჩოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი | **დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. |
| | **მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. |
| | **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგიული სნეულებანი | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.) |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| | **ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) 11½ 12½. |
| ქალთა და საშვილოსნო სნეულებანი | ექიმი-ქალი **ვერბიცკა-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. |
| | **თოკაძე ა. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **ხულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყო დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. |
| | **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. და ელექ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. |
| | **დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ფონდოევი, გ. ხ.** (ყოველ-დღე) 1—2 ს. |
| ყურ. ყელ. და ცხვ. | **ათენციანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½. |
| | **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენ. | **დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" „914" და **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

---

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი,**
**ორდინატორად ნამყოფი** კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს 5—6 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12.
**იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 67

---

## საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის იაალობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ... ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020

---

**ელექტრონისა და რენტგენის**
**ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო**
## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., **გაშინჯვა და გადაღებ.** რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 122

---

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № ., ს. გაბაშვილისა.

---

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**
იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

---

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**
სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. ძოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ ქ.** № 9ა, კიროჩნი ქუჩის ახლო, ... 102

---

**ექიმი ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

---

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**
იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. ... № 6.

---

## სახელმწიფო საბჭო

(დეპეშათა პეტერ. სააგენტო).

**24 იანვრის სხდომა.**

**აკიმოვი.** თავმჯდომარეობს.

მინისტრთა ლოჟაში სხედან მინისტრთა საბჭოს წევრნი კოკოვცევის მეთაურობით. გრძელდება მსჯელობა ქალთა ვექილობის საკითხზე.

**ბაგალეი.** უნივერსიტეტებში ქალები სტუდენტებთან ერთად ერთსა და იმავე კურს გადიან, კურს დამთავრებულთ იურიდიულ საკითხების გასარკვევად მუშაობენ; ზოგიერთმა ქალმა ავტორიტეტი უკვე მოიპოვა. იმისი გადაწყვეტა, გამოდგება თუ არა ქალი ვექილად, დროს და ცდას უნდა მივანდოთ.

**გურკო,** ქალი მთლად ოჯახ უნდა ეკუთვნოდეს; მაგრამ საზოგადო მოღვაწეობა როდი აშორებს მას ოჯახის კერას. სამსახურს ის ქალები ეძებენ, ვისაც საკუთარი ოჯახი არა აქვს. ქორწინებას ქალი კი არა, კაცი გაურბის. კაცი სცდილობს ხელი შეუშალოს ქალს პატიოსან შრომაში· კაცი ხელს უწყობს ქალს ემსახუროს ვენერას, და სამართლის ღმერთ—ფემიდას კი არა.

**დეკ. ბუტკევიჩი** უპასუხებს კონის: დაბადებაში არსად არ არი ნათქვამი რომ ღმერთმა ქალი და კაცი თანასწორად გააჩინაო; პირიქით ქრისტიანობამ აამაღლა ქალი და მისცა ფართო სამოქმედო ასპარეზი—ქველმოქმედება. ვექილობას კი ქრისტიანობა უარყოფით უყურებს. წმინდა ავგუსტინემ დაასურათა მთელი ქუჟყი ვექილობისა და სთქვა: „ბედნიერნი არიან ქალები: მათ შეუძლიანთ ვექილებად არ იყვნენო".

**კობილინსკი.** კომისიის უმცირესობის აზრი კანონ-პროექტის საწინააღმდეგოდ მოპირდაპირეთა დებულებით ვერ დაირღვა. გლეხები ქალებს ნდობით არ ეკიდებიან და თავისდღეში ვექილ ქალს არ მიჰმართავენ საქმის გასაკეთებლად. ქალები ვერ იმოქმედებენ ადვოკატთა ინსტიტუტზე და მის უარყოფითი მხარეს ვერ გამოასწორებენ საკითხი რაციონალურ საბუთებით უნდა გადასწყდეს და არა სენტიმენტალურ დებულებითო.

**შრეიდერი** საშუალო ზომის მომხრეა: ქალებს კერძო ვექილობის უფლება მიეცეს.

**მეიეკო.** კერძო ვექილთა ინსტიტუტი დროებითია. რას იზამენ ქალები მის გაუქმების შემდეგ? საბჭომ 84 ხმის უძრავლესობით წინააღმდეგ 66 უარჰყო კანონ-პროექტი.

## ახალი ამბავი

**ტფილისი**

✦ ტფ. პოლიცმეისტერმა ბოქაულებს დაავალა, თვალყური ადევნონ, რათა ბაზარში და რესტორანებში არ გაჰყიდონ ის გარეული ფრინველნი და პირუტყვნი, რომლებზედაც ნადირობა კანონით ამ ჟამად აკრძალულია.

✦ გუშინ **ტფ. პოლიცმეისტერმა** ბრძანება დაუგზავნა უბნის ბოქაულებს: წინად სასტიკად დავავალე პოლიციელთ, რომ მცხოვრებთ მუდამ თავაზიანად და ზრდილობიანად მოექცნენ, მაგრამ, როგორც ეტყობა, პოლიციელნი—განსაკუთრებით უბნის ზედამხედველნი—ამ ბრძანებას არ ასრულებენ, რადგანაც მათზე აუარებელი საჩივარი მოდისო. პოლიცმეისტერი დასასრულ ბოქაულებს ავალებს გამოუცხადონ პოლიციელთ, რომ ასეთს დამნაშავეთ სამსახურიდან დღეის შემდეგ დაითხოვს.

✦ **ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის მომავალ იუბილეს** გამო ქალაქის გამგეობამ დაადგინა, მიულოცოს იუბილიარს და მიართვას ადრესი მშვენიერის ყდით.

✦ **ქალაქის გამგეობამ** გუშინდელს კრებაზე დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა ქალაქის საბჭოს წინაშე, რათა 150 მან. გადასდოს განსვენებულ სამხედრო ისტორიკოსის ვ. ა. პოტტოს ძეგლის ასაგებად.

✦ 24 იანვარს, ღამით, ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის განკარგულებით ტფილისში **დააპატიმრეს ქალაქის საბჭოს ხმოსანი ინჟინერი ა. ს. ბაბოვი.** დაპატიმრების მიზეზი გამოურკვეველია.

✦ **ქალაქის მთავარ ინჟინერის ადგილი** გააუქმეს. მისი საქმეები გადაეცა ქალაქის გამგეობის სატეხ-

ნიკო საბჭოს, რომლის თავჯდომარესაც გამგეობა ამ დღეებში დანიშნავს.

✦ **ავლაბრის კლუბს** 1912 წლის განმავლობაში შემოსავალი ჰქონია 33,518 მან. 15 კ., ხარჯი—22,285 მ. 49 კ. ყველაზე დიდი შემოსავალი ბანქოს თამაშობას მიუცია.—11,165 მან. 10 კ. მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვა ნავარაუდევია ამ გვარად: შემოსავალი—27,480 მან., ხოლო ხარჯი—24,297 მ. მამასახლისებად საზოგადო წლიურმა კრებამ აირჩია: ბ-ნნი იგიტიანცი, გალუსტიანი, კარტამიანი, ზორიანი, ოჰანეზოვი, ტერაბრამოვი, ფორაქოვი, ზოლოტნიცკი, ჩერნიშევი, ლარიბოვი და ალაბაზოვი. სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩიეს: აბაკოვი, ალიხანიანი და თუმანოვი.

✦ **საქართველოს საეპარქიო სასკოლო საბჭომ** თანამდებობიდან გადააყენა თელავის მაზრის სამრევლო სკოლების მეთვალყურე მღვდელი დეკანოზიშვილი და დაადგინა, დაავალოს სამაზრო საბჭოს, სამი კანდიდატი წარმოადგინოს მის ადგილზე.

✦ **არქიმანდრიტი ნაზარი,** საქართველოს მონასტრების ბლაღოჩინი, ქვათახევის მონასტრიდან დაბრუნდა და გუშინ ბოდბის მონასტრის დასათვალიერებლად გაემგზავრა.

✦ **ავადმყოფობა საქალაქო სკოლებში.** 1912 წლის განმავლობაში ქალაქის სასკოლო ექიმს ქალაშთაროვს 12 სკოლაში, რომელსაც თვით განაგებდა, გაუსინჯავს 3976 ავადმყოფი მოსწავლე, თავის სახლში გაუსინჯავს—101 და ავადმყოფ მოსწავლეთა სახლში მისულა —747-ჯერ.

✦ **ლექციები.** სახალხო უნივერსიტეტის თაოსნობით 27 იანვარს ორი ლექცია გაიმართება. სახალხო სახლში წაიკითხავს ფილოსოფიის დოქტორი ტ. კ. მარქარიანი: „პიროვნების შესწავლა", ხოლო ნაძალადევის თეატრში ნ. ე. ერმოლაევი: ჰაუპტმანი, როგორც დრამატურგი-რეალისტი". ორივე ლექციის დასაწყისი შუადღის 12 ს.

✦ ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორმა ბ-ნმა აკუნოვმა გუშინ ქალაქის გამგეობის სასტატისტიკო ბიუროს წარუდგინა დაწვრილებითი ცნობანი ტფ. სახელოსნო დაწესებულებათა რიცხვისა, დაარსების წლისა და სხვათა შესახებ.

✦ **ხარჯი ფოსტის ახალ შენობისა,** რომელიც უნდა ააგონ გოლოვინის პროსპექტისა და ვოენნი ქუჩის კუთხეში, ნავარაუდევია 624,000 მან. შენობაში უნდა მოათავსონ აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის სამმართველო.

✦ სიღნაღის მაზრის უფროსი პოლკოვნიკი **ალდატოვი** ბორჩალოს მაზრის უფროსად, გადაიყვანეს, ხოლო ბორჩალოსი პოდპოლკოვნიკი **ბობროვსკი**—სიღნაღში.

✦ 23 იანვარს ვორონცოვის ძეგლთან ტრამვაის ვაგონები (№ 60 და № 4) ერთმანეთს დაეჯახა. შიგ მსხდომნი ძალიან შეშინდნენ. დაჯახებისას ვაგონის შუშა ჩაილეწა და ნამტვრევებმა სახე გაუკაწრა გ. ა. ესაიბეკიანცს.

✦ 24 იანვარს, ღამის 1 ნახ. ს. საარტისტო საზოგ. თეატრის წინ სტ. რაფ. ხაჯაევმა დანით დასჭრა თავისი საყვარელი ლიდია გ. პოზდნაკოვისა. დამნაშავე შეიპყრეს.

✦ 24 იანვარს პოლიციამ სხვა და სხვა უბანში 112 უპასპორტო შეიპყრო.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს სატყეო-საბაღოსნო კომისიის** კრება 28 იანვარს, საღამოს 7 საათზე, ქალაქის გამგეობის სადგომში მოხდება.

## ქ უ თ ა ი ს ი

✦ ოთხი დღეა, ქუთაისში თითქმის გადუღებლად **სთოვს**; თოვლჭყაპია, ქუჩებში ტბა დადგა.

✦ **შავიქვის საბჭოს გამგეობა** ამ ჟამად ქიათურაშია მორიგი საქმეების გასარჩევად; საბჭო შაბათამდი დარჩება იქ.

✦ რამდენიმე მუხლი **გიორგი ჯიბშელეიშვილის ანდერძიდან:** ჩემს მოგვარეებს, წმინდა ჯიბშელეიშვილებს—ხუთი ათასი მანეთი; ხონის გიმნაზიას ვუტოვებ სამას თუმანს, კუხის სკოლას ვუტოვებ ორი ათას მანეთს, რადგან კუხის მცხოვრებნი ღირსი არ არიან, რომ მათ სახლში ქსენონი ჰქონდეთ ამისათვის ვწირავ ხონის საზოგადოებას ჩემს სახელზე დაარსონ ქსენონი, ხოლო დაარსებამდი კი ეს ფული გადაეცეს ხონის ბანკს სასარგებლოდ—სულ ორმოცი ათასი მანეთი.

✦ **სენატმა დაამტკიცა** გერასიმე და ლიდა შონვაძეების საქმე, რომელთაც ქუთაისის ოლქის სასამართლომ თითო მათგანს ყოველივე უფლებათა ახდა და თხუთმეტ-თხუთმეტი წლით კატორღა მიუსაჯა, კოხრეიძის მოკვლისათვის. მათ იცავდა პეტერბურგელი ნაფიცი ვექილი გრუზენბერგი.

✦ კავკასიის სამხედრო სასამართლომ **შალვა ჩიკვაიძეს** ბრალდების ოქმი ჩააბარა. მას ბრალდება შორაპნის მაზრაში ცნობილ ბოქაულის კოლია ნემსაძის მოკვლა, პოლიციელებთან შეტაკების დროს სტრაჟნიკის და ჯარისკაცის მოკვლა და სვირის სადგურზე დაცემა და სტრაჟნიკის სიკვდილი.

✦ 27 თებერვალს ტფილისის სამოსამართლო პალატა გაარჩევს **ჭოჭია ჩიქოვანის საქმეს,** რომელსაც ბრალდება ნემსისწვერაძის და მამარდაშვილის მკვლელობა, რისთვისაც ქუთაისის ოლქის სასამართლომ მას უვადო კატორღა გადაუწყვიტა. მას იცავს ნაფიცი ვექილის თანაშემწე შალვა მესხიშვილი.

✦ ამ მოკლე ხანში, ზუგდიდის სამაზრო საპყრობილეში **გარდაიცვალა** ორი კატორღელი პატიმარი, კაჯალა ყოლბაია და იოსე კირთავა.

✦ მიქიაშვილის შესახებ პატიმარ მიხეილ კოლუშვილის მიერ მიცემული **საჩივარი გუბერნატორმა მიიღო** და საქმის გამოძიება დაიწყო. მიქიაშვილს ბრალდება პატიმრებისგან ფულის გამოტყუება. („იმერ.")

✦ მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის ბიურომ იასონ გაბილაიას შუამდგომლობით დაადგინა, პირველ მაისიდან იყოლიოს ქუთაისში ერთი ინსტრუქტორი ქართულ საკოოპერაციო ჟურნალის განკარგულებაში. ინსტრუქტორის არჩევა თვით რედაქციას აქვს მინდობილი. ინსტრუქტორისათვის გადადებულია მოსკოვის „კავშირის" მიერ 1,500 მანეთი. ვინაიდან ინსტრუქტორებზე მოთხოვნილება დიდია, ერთის მაგიერ ზემო-აღნიშნულ თანხით რედაქციას განზრახვა აქვს დაიქირაოს ორი ინსტრუქტორი.

✦ მოსკოვის სახალხო ბანკი შეუთანხმდა საუკეთესო ფირმებს, რათა მან ქუთაისში განყოფილების გახსნისათანავე (ამ წლის თებერვლიდან) საკრედიტო, სამეურნეო, მომხმარებელი და სხვა კოოპერატივებს ძლიერ ხელსაყრელ პირობებში, (როგორც კრედიტისა ისე ფასების მხრივ), მიაწოდონ სამეურნეო, სახელოსნო და სხვა იარაღები, და აგრეთვე ორთქლის წისქვილები და მექანიკური ფურნეების და სხვა მოწყობილობანი.

✦ ამ დღეებში კანდიტერის პატრონს ჩილინგაროვს მიუღია უსახელო წერილი, რომელშიაც წინადადებას აძლევდენ მას გადაეცა ორასი მანეთი ისიდორე აბზიანიძისთვის წერილის ავტორებისათვის გადასაცემად. ჩილინგაროვს მიუმართავს აბზიანიძისთვის საქმის გამოსარკვევად. უკანასკნელს ამ წერილზე არაფერი სცოდნია. წერილში აღნიშნულ დღეს აბზიანიძესთან არავინ მისულა, მეორე დღეს კი ვიღაც სანთალაძეს მოუკითხავს აბზიანიძესთან კონვერტი. გამოკითხვის შემდეგ სანთალაძემ განაცხადა, რომ ის მინა ბოლქვაძის დავალებით მისულიყო. ამას შედეგად მოჰყვა როგორც ბოლქვაძის, აგრეთვე სანთალაძის დატუსაღება. ამგვარ შინაარსის უსახელო წერილები, როგორც ამბობენ, ბევრ ვაჭარს მიუღია.

✦ ჩვენს გაზეთში უკვე აღნიშნული გვქონდა—ამასწინად ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის მთავრობამ შუამდგომლობა აღძრა მეფის მოადგილის წინაშე, რათა მე-7 კლასში შემოსულ შეგირდთათვის ნება დაერთო 2ორე წელიწადსვე გიმნაზიის გასათავებელი ეგზამენის მიცემისა. გიმნაზიის მთავრობამ ამ თხოვნაზე უარი მიიღო. ისეთი შეგირდები, რომლებიც პირდაპირ მე 7-დე კლასში არიან შესული დღეს გიმნაზიის მერვე კლასში 8 კაცია.

✦ ქუთაისის მომხმარებელი და საკრედიტო კოოპერატივების გამგეებმა უკვე დაიქირავეს შენობა მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილებისათვის. და შეუდგენ ამ საქმისთვის შესაფერ სამზადისს, როგორც თვით ბანკი, აგრეთვე მისი, ქუთაისის განყოფილება თავის მოქმედებას უმთავრესად კოოპერატივებზე დაამყარებს.

✦ ამ დღეებში ქუთაისში მოხდება ადგილობრივ მომხმარებელ საზოგადოებათა რწმუნებულებისა და აგრეთვე წვრილი კრედიტის წარმომადგენლების კრებები. პირველ კრებას მოხსენდება ანგარიში მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა 26-ტე კრების, მეორე კრებაზე განხილული იქნება წვრილი კრედიტის დაწესებულებათა საგუბერნიო კავშირის წესდების პროექტი, და ქუთაისში სახალხო ბანკის დაარსების საკითხი, იგივე კრება, განიხილავს დროებითი ბიუროს ხელშეკრულობის პროექტს დროებითი ბიურო დაარსდება კავშირის ფუნქციებით.

✦ ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობამ გასაყიდად შეიძინა პასხალიდის ფირმის აბრეშუმის თესლი.

✦ ქუთაისში ფოთიდან ჩამოვიდა დეპუტაცია შემდგარი ქალაქის ხმოსნებისაგან. დეპუტაციამ გუბერნატორსა სთხოვა ქალაქის თავის მოადგილის თანამდებობაზე ახლად არჩეული თავადი აფაქიძე დაამტკიცოს. ამავე თხოვნით დეპუტაცია მეფის მოადგილესთანაც გაემგზავრა. („მერცხალი")

## სამღვდელოების კრება

კრების მიერ არჩეულმა კომისიამ უკვე გაანაწილა ის 1,974 მან., რომელიც გადადებულია ღარიბ მრევლთა კრებულის სასარგებლოდ. თანახმად ამ დადგენილებისა ჯამაგირები მოემატებათ შემდეგ კრებულთ: ტფ. მაზრაში დიღომის ორ კრებულს 89 მ. 72 კ., ბორჩალოს მაზრაში: სანაშერისას 126 მ. 50 კ., გორის მაზრაში: რუისისას 45 მ. 62 კ. და წრომისას 235 მან. 70 კ., სიღნაღის მაზრაში: ბაკურ-ციხისას 259 მან. 70 კ., ბოდბისას 259 მ. 70 კ., კარდანახისას ამდენივე, კაჭრეთისას 162 მ. 96 კაპ., თელავის მაზრაში: ქვემო ხოდაშენისას 259 მან. 70 კ., შილდისას ამდენივე დუშეთის მაზრაში: მუხრანის მთავარს 15 მან.

აირჩიეს საგანგებო დეპუტაცია, რომელსაც დაევალა, მადლობა გადაუხადოს მეფის მოადგილის მეუღლეს გრაფინია ე. ა. ვორონცოვ-დაშკოვისას, რომელმაც ღედათა საეპარქიო სასწავლებელს დახმარება გაუწია და ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ ამას წინად კონცერტი გამართა—(კონცერტის წმინდა შემოსავალი 3,000 მან. იყო). დეპუტაციაში აირჩიეს: მღვდ. ა. ჯალიაშვილი, კ. პოლიტოვი, მ. მახათაძე და ე. როჟდესტვენსკი.

კრებამ მოისმინა კერძო თხოვნები სამღვდელოების ქვრივებისა და ობლებისა, რომელნიც დახმარებას თხოულობდნენ. კრებამ დაადგინა, ყველა ეს თხოვნა საქართველოს ეგზარხოსს გადასცეს განსახილველად. კრებამ განიხილა მხოლოდ შუამდგომლობა ქუთაისის წმ. ბაგრატის ეკლესიის განმაახლებელ კომიტეტისა. თანახმად შუამდგომლობისა, კრებამ დაადგინა, სთხოვოს ეპარქიის ბლაღოჩინებს, რათა კომიტეტს დახმარება აღმოუჩინონ.

## ჟურნალისტის დღიური

119.

**გაუგებარი წინააღმდეგობა.**

გლეხთა დროებით ვალდებულების ინსტიტუტის ლიკვიდაციის გამო ქართულ პრესაში აღიძრა საკითხი, რომ თავად-აზნაურობამ და ყველა იმან, ვისაც გლეხთა განთავისუფლებაში ფული ერგება, ნაყოფიერად გამოიყენოს ხვედრი ფული. ასეთივე საკითხი აღიძრა გლეხთა განთავისუფლების დროს სამოციან წლებში. იგი სადგილ-მამულო ბანკების დაარსებით დაგვირგვინდა. მგონია აზრი ფრიად მარტივია, იმდენად მარტივია, რომ ჯერ პრესაში ამის საწინააღმდეგო არაფერი თქმულა. შეიძლება ჩვენი აზრი ბევრს არ მოეწონოს, შეიძლება სთქვან, სამელიორაციო კრედიტი დღეს ჩვენთვის იმდენად საჭირო არ არის, რამდენადაც სხვა რამ დაწესებულებაო. ამ ნიადაგზე კამათი შეიძლება და იქნება სასარგებლოც იყოს. მე მგონია, არ გაგვიჭირდება იმის დამტკიცება, რომ დღევანდელ პირობებში მხოლოდ სამელიორაციო კრედიტია საჭირო, მხოლოდ მას შეუძლიან გამოიყვანოს უხერხულ მდგომარეობიდან უკან ჩამორჩენილი ჩვენი სასოფლო მეურნეობა. მაგრამ არც ამის წინააღმდეგნი არიან. ჯერ-ჯერობით ყველა იმისთვისა სცდილობს, რომ თვით აზრი საერთო თანხის შექმნის საჭიროებისა პოპულარული გახდეს.

მაგრამ, თურმე, არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც სულ სხვანაირად აზროვნებენ და მხად არიან დამნაშავის სკამზე დასვან ისინი, ვინც გაჰბედა და სთქვა, სჯობიან გლეხთა განთავისუფლებაში მიღებული ფული საზოგადო საქმეს მოხმარდესო. ასეთი უცნაური ხალხი, მეტი რომ არა ვსთქვათ, დასელები და მათი „უშიშარი რაინდი" პუბლიცისტები არიან. ჩვენი სიტყვები რომ მოჰორილი ამბავი არ გეგონოთ, ყური დაუგდეთ, რას ამბობს ვინმე მოსული „მერცხალში". „ჩვენ მზადა ვართ შეგუყვიროთ,—სწერს გაზეთი, —გაჩუმდით, თქვე ავაზაკებო (ეს ავაზაკები ყველა ისინი არიან, ვინც ამბობენ, გამოსყიდვაში მიღებული ფულის ნაწილი მაინც მოხმარდეს საზოგადო საქმესაო; შ.) როგორ არა გრცხვენიათ, საქვეყნოდ ანაწილებთ ნატაც ფულს და ამავე დროს ხალხის ბედნიერებაზე ლაპარაკობთ. ჩვენს ხალხს დაუბრუნდა თავისი სისხლით და ოფლით მორწყული, ათასჯერ გამოსყიდული ერთი ნაგლეჯი მიწა, ისიც ჩვენი თავად-აზნაურობის ნების წინააღმდეგ, მიუხედავად მათი წარმომადგენლების პროტესტისა. მათ ეს ათასჯერ გამოსყიდული მიწა, ათას პირველჯერ კიდევ მიჰყიდეს გაძვალტყავებულს ქართველ გლეხობას, მისი ვალი სხვა ვალებთან ერთად ზურგზე დაადეს მას და ეხლა ამგვარი გზით მიღებულ ფულს ანაწილებენ. მისი მეოხებით უნდაო ბანკი დაიარსონ. რა შუაშია აქ ქართველი გლეხი? განა ვისი სასარგებლო უფრო იქნება ეს ბანკი".

აი, სიტყვა-სიტყვით რას ამბობს მოსული, რომელიც სულაც რომ არ მოსულიყო და არ გამრავლებულიყო, ისედაც გამრავლებული დემაგოგთა ბრბო, მით უკეთესი იქნებოდა. გლეხებს ათი-ათასჯერ მიჰყიდეს თავისი საკუთარი მიწაო, ბრძანებს ბ-ნი მოსული. სრული ჭეშმარიტებაა. გლეხი იძულებული ჰხდება ერთხელ კიდევ გამოისყიდოს „ნადელი", რომელიც მრავალჯერ გამოუსყიდია. მერე რა? განა თავადიშვილმა, იმის მაგივრად, რომ მიღებული ფული „ილტაში", ან „მედვედში", შესჭამოს, საქვეყნო საქმეს მოახმაროს, ამით რამე გაფუჭდება? ჩვენც ხომ ამის მეტს არაფერს ვამბობთ.

როგორ შეიძლება ადამიანი, თუ იგი რაღაც იდუმალ ბოროტი გრძნობებით არ არის შეპყრობილი, ამის წინააღმდეგი იყოს და ავაზაკები უწოდოს ისეთ პირთ, როგორნიც, ვსთქვათ, დიმიტრი ყიფიანი ან ილია ჭავჭავაძეა. თუ ესენიც ავაზაკები

# დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი

**(ცხოვრების, აზროვნების და მოღვაწეობის მატიანე)**

**კარი X.**

**ბ.**

როგორც ვსთქვით, ცნობილმა კატკოვმა საქართველოსაც მიაპყრა თავისი ყურადღება და ქართველებსაც სეპარატისტული მიდრეკილება დასწამა. ტფილისში 1864 წელს ზაფხულის თვეებში დიდი არეულობა მოხდა. მოქალაქენი შეწუხებულნი იყვნენ უზომო გადასახადებით, სამართალს ითხოვდნენ და საბჭოს და პოლიცმეისტერს რიგ-რიგზე სთხოვდნენ დახმარებას. ყურადღება არავინ მიაქცია და ხალხში უკმაყოფილება იზრდებოდა. ხარჯის ამკრეფი, ბაჟბეუკოვი, მსხვერპლადაც შეეწირა ამ უკმაყოფილებას, შეუცვივდნენ სახლში და გადმოაგდეს ძირს ქუჩაზე. აღელვება დიდი იყო. მთავრობამაც ზომები მიიღო. საბედნიეროდ საქმე უშვიდობიანად დაბოლოვდა და მალე ყოველივე დაწყნარდა. მაგრამ „მოსკოვსკის ვედომოსტისთვის", რომელმაც უკვე უღალატა თავის ლიბერალურ დროშას, საკმარისი იყო ამ ამბავის გაგონება, რომ გალაშქრებულიყო ქართველთა წინააღმდეგ. ხელში გვაქვს დიმიტრი ყიფიანის პასუხი კატკოვის გაზეთში დაბეჭდილ წერილის წინააღმდეგ. დიმიტრი ყიფიანი არღვევს ბრალდებას, ვითომც აღნიშნულ არეულობაში ტფილისის მოქალაქენი შეიარაღებულნი იყვნენ. აგონებს კატკოვს, რომ ამ ხასიათის არეულობა წინადაც ყოფილა ტფილისში 1829, 1830 და 1853 წლებში. „ხოლო არც ერთ ამ არეულობაში არა იყო რა პოლიტიკური"... „ვინც აქაურ ხალხში ახალ აზრებს დაეძებს, ეროვნულ დამოუკიდებლობის აზრს, ან სხვა რაიმე პოლიტიკურ მისწრაფებას გარეშე იმ მისწრაფებისა, რომლისაკენ მიგვიძღვის თვით მთავრობა, ეს იმას ნიშნავს—ნებას ვაძლევ ჩემს თავს სასტიკი ჭეშმარიტება ვსთქვა—ნიშნავს ზოგიერთების სურვილს, რომ ამგვარი აზრის მიმართულება, თუ ჯერ კიდევ არ არის, დაიბადოს ჩვენში და იმას აღარ დაეძებენ, რამდენად კეთილსინდისიერია ამისთანა სურვილი". კატკოვს ისიც აღუნიშნავს, რომ ქუთაისის გიმნაზიაში ერთ მასწავლებელს შეუტანია საპედაგოგიო საბჭოში წინადადება, რომ დაბალ კლასებში სწავლა ქართულად სწარმოებდეს, რათა ბავშვებმა უკეთესად შეითვისონ სწავლის საგნები. „შეეძლოთ არ მიეღოთ ეს წინადადება, ამბობს დიმიტრი, მაგრამ იმ აზრის მტკიცება, ვითამ ბავშვებს და შეგირდებს რაღაც დაფარული პოლიტიკური განზრახვა ამოძრავებთ. განა იმ ბოროტების მხილება არ არის ეს, რომლის არსებობა არც კი ჰქონდათ გულში მოსწავლეებს. დამეთანხმეთ, რომ უსინიდისობა თუ არ არის ასეთი ბრალდება, უტაქტობა ხომ არის და არის". კატკოვს პოლონელების ხელმძღვანელობა და წაქეზება ელანდება საქართველოშიაც. დიმიტრი პროტესტს აცხადებს: „რა არის საერთო იმათსა და ჩვენს შორის. ამ ორ ხალხთა ინტერესებს შორის საერთო რა უნდა იყოს?" რა თქმა უნდა არაფერიო. და თუ საერთო არაფერია, რატომ უკვირს კატკოვს, რომ დიმიტრი ყიფიანი თავის თავს უწოდებს არა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად, არამედ ქართველ თავად-აზნაურთა წინამძღოლად? დიმიტრი უპასუხებს: „ქართველი თავად-აზნაურობა ის წოდებაა, რომლის წევრთა შორის არ არის ერთი ადამიანიც, რომ მზად არ იყოს თავი შესწიროს ხელმწიფე იმპერატორს. მაგრამ ნუ გგონიათ, რომ გაჭირების ჟამს მოვერიდებით და არასა ვსთხოვთ მთავრობას. ვთხოვთ, თვით ხელმწიფე იმპერატორს ვთხოვთ... მაგრამ ეს კი უნდა იცოდეთ, რომ ჩვენი თხოვნის ასრულება გააორკეცებს ჩვენს ღრმა გრძნობას ქვეშევრდომით მადლობისას, ხოლო თხოვნის არ შეწყნარება ერთ მტკაველადაც არ შეამცირებს ამ ჩვენს გრძნობას. ქართველი თავადაზნაურობა ჰქვიან იმ თავად-აზნაურობას, რომელიც ძველის დროიდგანვე სარწმუნოებას და კანონიერებას სწირავდა თავს. და იქნებ მართალი გგონიათ, რომ ამგვარ თავადაზნაურობის არსებობაზე ლაპარაკი არ ღირდესო?.."

როგორც ჰხედავთ, დიმიტრი ყიფიანს ჰგონია, რომ იგი კვლავინდებურად შეურყეველ ნიადაგზედ დგას. მას ეგონა, რომ ჰანგი, რომელსაც სიამოვნებით უსმენდა ვორონცოვი, სიამოვნებითვე უნდა მოისმინოს კატკოვმა. თავი და თავი, ბოლო და დასაწყისი ყოველგვარ საკითხისა ხომ შეურყეველი ერთგულობაა ქართველებისა თვითმპყრობელ რეჟიმისადმი. მაშ რა ეჭვები უნდა გვებადებოდეთ, რა უნდა გაწუხებდეთო? მაგრამ ეჭვები იბადებოდა და უნდობლობა იზრდებოდა. როდესაც რუსეთში საბოლოოვოდ ჩამოყალიბდა აგრესიული ნაციონალიზმის ფიზიონომია, სამუდამოდ ჰქრება და იკარგება ვორონცოვის დროინდელი იდილიაც. დიმ. ყიფიანი ნაღვლობს ამ სანეტარ დროის ისტორიულ წარსულში ჩაბარების გამო, ხოლო ბრძოლაზედ ხელს არ იღებს. პირიქით, მამულისშვილური გრძნობა, დაბუდებული მის ბუნებაში, ძლიერდება, ვითარდება, იზრდება და აძლიერებს და ანვითარებს მის საზოგადო აზროვნებასაც. ეხლა იგი მებრძოლია ეროვნული დროშით ხელში. მართალია ამ დროშაზე ისევ ის სამშობლო ენა და ენის პატივცემის საჭიროება აწერია და სხვა არაფერი. მაგრამ, რადგან ამ საკითხთან ბევრი სხვა საკითხია დაკავშირებული, ამიტომ მოქმედების ფარგალიც ჰფართოვდება. ეროვნული თავმოყვარეობის გრძნობიერება უმწვერვალესად ვითარდება. და ყოველივე ეს ჰქმნის ახალ ფსიხიურ ატმოსფერას, ახალ აზრს და ახალს გრძნობას. ფრიად საყურადღებოა ამ მხრით დიმ. ყიფიანის გალაშქრება სამასწავლებლო ოლქის მზრუნველის იანოვსკის წინააღმდეგ.

გაზეთ „დროებაში" დაიბეჭდა ღია წერილი ვინმე ს. მ—ის ბ. იანოვსკის პედაგოგიურ სისტემის შესახებ. ამ წერილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დიმ. ყიფიანზე და მასაც აღებინა ხელში კალამი, და აი 1880 წ. იგი სწერს „დროებაში": „საშინელია ს. მ—ის წერილი, საშინელია, როგორც მგზნებარე წარმოთქმა უსამართლოდ განგმირულ გრძნობისა, როგორც გვემა ალბორგებულის გულისა... „როგორ თუ..." კი არა, საქმეს თვალი თვალში უნდა გავუყაროთ და როგორც ჩვენს მრავალს მთმენლობას შეჰფეროდეს, როგორც ჩვენს სულის შეუგინებლობას შეეფერებოდეს, ისე უშფოთველად გავსინჯოთ საქმე, რომელიც ისეთის თვისებისა არის, რომ უსაცილოდ უნდა სირცხვილეულ ჰყოს ან ერთი მხარე, ან მეორე. რა რომ სიტყვა ითქვა, ითქვა: სხვა სარჩევი აღარა არის რა. ქუთაისში რომ მასწავლებელთა კრება იყო, ამბობს ღია წერილი, იმ კრების მოთავისათვის ბ. იანოვსკის დარიგება მიეცა, რომ სასოფლო სკოლებში რუსული ენის სწავლა პირველივე წლიდამ დაიწყებოდესო და ეს იყო თურმე მიზეზი, რომ იმ კრებაზე იყო ახირებულად გატრიზავდა პატივცემული გორის სემინარიის დირექტორი სემენოვი. ამის გარდა სენაკში სასოფლო სკოლის მასწავლებლისათვის უბძანებია ბ. იანოვსკის. ბავშვებისათვის რუსული რატომ არ გისწავლებიათ? თქვენ რაღაც სხვა მიზანს მისდევთ და არა პედაგოგიასაო... მაშ სრული ნება გვექნება ვიკითხოთ, ქართული ენის ცოდნამ რა დაუშავა იმ გმირებს, რომელთაც ისახელეს თავი და ასახელეს რუსეთის მხედრობაც, და რუსეთის მმართველობაცა, როგორც ძველს დროებში, ისე ჩვენს მახსოვრობაში? რა დაუშავა ქართველობამ და ქართულის ცოდნამ პავლე ციციანოვს, პეტრე ბაგრატიონს, დიმიტრი ორბელიანს, აფხაზს, სავარსამიძეს, გიორგი ერისთავს? ჯერ რომ ქართული იცოდნენ და მერე რუსული, ამითი რუსეთს მტერს ვერ უმარცხებდნენ თუ, და ქვეყნებს ვერ უმორჩილებდნენ თუ?—მოსე არღუთაშვილი და ვასილ ბებუთოვი მტერსაც რომ საოცრად უძარცხებდნენ და ქვეყნებსაც რომ სახელოვანად უმართვიდნენ,—ან გრ. ორბელიანი, ალ. ჭავჭავაძე, ლევან მელიქიშვილი ვითომ რა შემცოდველნი არიან რუსეთის წინაშე, რომ თავისი ქართველობა არა ჰგმეს და ჯერ ქართული ისწავლეს, მერე რუსული... რა შეგცოდეს თქვენ, ან მომავლინებელთა თქვენთა, იმ ქართველებმა, რომელნიც რუსებთან ძმურად, ხელი-ხელს გადაბმულნი, რუსეთის დიდებისათვის წმინდა სისხლს ერთად ათხევდნენ და რუსეთის მხედრობას მიუხედავად მიუძღოდნენ, საითაც სამსახურის ვალი იწვევდა? სამოქალაქო სამსახურის მოხელეებისა რაღა ვთქვათ: ვინ არ იცის, რომ ათასში ერთს თუ დაგვისახელებენ ვისმე ქართული ენის მცოდნეთაგანსა, რომ შთამამავლობითი პატიოსნება შეგინებულ ექმნას სადმე. თუ ამას არ დაჰფიქრებიხართ, რა მნიშვნელობა აქვს თქვენს ქადაგებასა—ქართველობა ჰგმეთ და ქართული ენა დაივიწყეთო? მე გეტყვით: როგორც სამათემათიკო ჭეშმარიტება, ისეთი არის ეს ჭეშმარიტებაცა, რომ საქართველოს ხალხზედ უფრო ერთგული ტახტისა მთელს რუსეთს სხვა ხალხი არ ასხია. თქვენ თუ არ იცით ესა, ჩვენმა სათაყვანებელმა ერომთავარმა კარგად უწყის ესა და მისმა უზენაესმა მმართველობამაც კარგად იცის. ასე ვართ ქართველები და ასე ვიქნებით, მინამდისინ ჩვენი ხალხოსნობა დაცული იქნება. და ხალხოსნობა ხომ გამქრალია, სადაც იმისი ენა აღარ არის. მერე რა ენისას ამბობენ კაცობრიობის მგმობელნი, უნდა გაქრესო! იმ ენისას, რომელსაც ლაპარაკობდნენ ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარ მნათობი; რომელზედაც ქრისტიანობას გვიქადაგებდნენ ნინო, მოციქულთა სწორი და ათ ცამეტნი სირიელნი მამანი; რომელზედაც მწერლობდნენ პოეტნი, როგორც შოთა რუსთაველი, ფილოსოფოსნი, როგორც პეტრიწი; სჯულის მდებელნი, როგორც ვახტანგ მეფე;—რომელსაც აქვს ანბანი უმარტივესი და უბუნებითესი ყოველთა ანბანთაგან... ახლა მიჰხვდით თუ არა, რასაც თქვენი ქადაგება მოასწავებს? ჩინგის-ხანმა, ლანგ-თემურმა, შაჰაბაზმა, ნადირშაჰმა ვერ შემუსრეს ჩვენი ხალხოსნობა და ახლა თქვენ გინდათ შემუსროთ, როდესაც ჩვენ ჩვენის კეთილის ნებით, სიყვარულით და სასოებით მივენდეთ რუსეთს, რომლისაც გარეშეუწერელი ერთგულება შეურყევლადა გვაქვს გულში ჩანერგილი?! არა ბატონებო! თუ ღია წერილის აზრი არ დაირღვა... იანოვსკის ათას წილად უჯობს ისევ ამ აზრის შემუსვრა მოახერხოს... თუ ეს აზრი არ შეიმუსრა, იანოვსკი შემცდარი კი არა, შემცოდავი იქნება ორგვარად: რუსეთის წინაშე, რომ ერთი უერთგულესთაგანის ხალხის გაორგულება განუზრახავს, — და მერე მეცნიერების წანაშე, რომ პედაგოგიას ურღვევს დიდი მეცადინეობით შემუშავებულს კანონსა,

არიან, მაშინ მოსული ვილა უნდა იყოს? გოგია ყაჩაღი თუ?..

მიუდგომელ მკითხველს მაინც არ შეიძლება არ გაუკვირდეს. ყველა კარგი, მაგრამ ამ დასელებს მაინც რა ალაპარაკებსო. მხოლოდ ერთი რამ: დემაგოგია. ოღონდ თითონ კი ხალხის მოსარჩლეთა სახელი დაიმსახურონ და სხვა ყველაფერი მეწყერსაც წაუღია. ეს რომ ასე არ იყოს, კრინტსაც ვერ დასძრავდნენ ჩვენი წინადადების წინაღმდეგ და იმ აბსურდამდე ვერ მივიდოდნენ, რომ სამელიორაციო კრედიტის დაარსება ავაზაკობაა და თხუთმეტჯერ გამოსყიდულ გლეხის ფულების ქუთაისის რესტორანებში გაფლანგვა კი კარგი საქმე.

არის საკითხები, რომელნიც თავის თავადაც ცხადია. ხსენებული საკითხიც ერთი ამათგანია. თუ ესეც კი დემაგოგების მოსაზრებით გამოიყენეს და ჭეშმარიტებაზე, სინამდვილეზე მაღლა გადავიდნენ,—თუ ესეც ჰკადრეს, მაშინ იძულებული ვხდებით გულისტკივილით ვაღიაროთ, რომ „მერცხლის“ პუბლიცისტების ფიზიკური და გონებრივი გადაშენება უმაღლეს წერტილამდე მისულა. ამაზე შორს წასვლა აღარ შეიძლება.

**შინაური.**

# სასკოლო კომიტეტის
## მოხსენება თავად-აზნაურობას

(შემდეგი)

ნივთიერი ნორმალური მდგომარეობა გიმნაზიისა მაშინ დაიბადება, როდესაც ვალი არ ექნება და უზრუნველყოფილი იქნება ყოველწლიურ შემოსავლით 88.000 მანეთით. მიმდინარე ხარჯისათვის ამ მიზნის განხორციელება გამგე კომიტეტის უკანასკნელ ოცნებას წარმოადგენს. მიზნის მიღწევა შეიძლება ან ერთდროულ დახმარებით 354 ათასი მანეთით, რის შემდეგაც საზოგადოების შემოსავალი თითქმის 17 ათასი მანეთით იმატებს, ან ვალის თან და თანი გადაწყვეტით იმ ზედმეტ თანხიდან, რომელიც ხარჯებს გადარჩება. მიზნის მისაღწევ საშუალებად უნდა მივიღოთ:

1. თავად-აზნაურობის წლიური დახმარების გადიდება 50 ათასი მანეთით წელიწადში.

2. განოვის ქუჩაზე სახლის გაყიდვა, რაც გიმნაზიას მოაშორებდა 247 ათას მანეთის ვალს და გაანთავისუფლებდა 12 ათასი მანეთის ყოველწლიურ გადასახადისაგან, (ეხლა დარჩენილი გადასახადი 11,900 მან., პენი წელიწადში 12,000 მან., წლიური შესატანი ფული 16,000 მ., შემოსავალი 17,000 ათასი წელიწადში).

3. უკანასკნელი ზომა თუმცა იგი არა სასურველად მიგვაჩნია, არის სწავლის ფულის გადიდება მოსამზადებელ განყოფილებაში 40 მანეთამდე, საშუალო კლასებში 50 მანეთამდე და უფროს კლასებში 60 მანეთამდე. სწავლის ფულის გადიდება ეხლანდელ შემოსავალთან შედარებით ზედ-მეტად მოგვცემს 10 ათას მანეთს. სწავლის შესატანი ფულის გადიდება გამგე კომიტეტს ფრიად არა სასურველად მიაჩნია და ამ საღსარს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიჰმართავს, თუ სხვა წყარო არ იქნება გიმნაზიის არსებობისთვის. რაც შეეხება განოვის ქუჩაზე სახლის გაყიდვას, გამგე კომიტეტი ეხლა იმის საშუალების ძიებაშია, თუ რა გვარად განახორციელოს საქმე; საუბედუროდ, ყოველი ცდა კომიტეტისა ჯერ-ჯერობით ამაო იყო. ქალაქის თვით-მმართველობა, რომლისთვისაც უფრო სასარგებლოა მომიჯნავე სახლის შეძენა, როგორც ეტყობა ცდილობს ჩვენს სახლს ფასი დაუკარგოს. ამიტომ გამგე კომიტეტი იძულებული გაჰხდა ქალაქთან ყოველგვარი მოლაპარაკება მოესპო და ხელ-საყრელ შემთხვევისთვის ელოდნა. ამ რიგად, დარჩა ერთად-ერთი საშუალება გიმნაზიის ხნისათვის—თავად-აზნაურობის დახმარება. გამგე კომიტეტს უფლება არა აქვს თავად-აზნაურობის ქონების გამოძიებაში შევიდეს და კარგად იცის, რომ იგი დატვირთულია სხვა და სხვა ახლად დაბადებულ მოთხოვნილებით, მაგრამ მაინც გაჰბედავს და მოაგონებს იმ ზომებს, რომელნიც თავად-აზნაურთა კერძო თათბირმა მიიღო 1910—12 წელს. საუბედუროდ ამ ზომებს აქამდისაც არ ჰღირსებია განხორციელება. ეს ზომაა შეცვლა წესდების იმ მუხლისა, რომლის ძალითაც ნაწილდება ტფილ. თავად-აზნ. სადგილ-მამულო ბანკის მოგება.

(შემდეგი იქნება.)

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 806.

# მოწერილი ამბები

**ლანჩხუთი.** (გურია). ბაზრიდან ერთი ვერსის მანძილზე ჩამოდის მდინარე, რომელსაც „ორაგვის ღელე“ ეწოდება. ამ მდინარემ მრავალჯერ დიდი ზარალი მიაყენა მცხოვრებლებს წყალ დიდობის დროს. აქ ოდესღაც ქვითკირის ხიდი ყოფილა, ეხლა მხოლოდ ნანგრევებილა არის. ყინვის დროს სახიფათოა ამ ხიდზე გასვლა. ორი დღის წინად ბაზრიდან მოდიოდა ერთი მოხუცებული გლეხი. ხიდზე ფეხი დაუცდა გადავარდა მდინარეში და მარჯვენა ფეხი მოსტყდა. გულშემზარავი იყო იმის კვნესა-ტირილი. ამ ხიდზე ყოველდღე რამოდენიმე ასი მოწაფე დადის. ადვილი შესაძლებელია ასეთი უბედურება კიდევ განმეორდეს. საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ვისიც ჯერ არს.

**„მარჯანი“.**

**ს. პატარა-ნი** (ქვემო რაჭ). წარმოადგენს მაღლობ მთა გორიან ადგილს და შეიცავს ას ხუთმეტამდე მცხოვრებს. სახნავ-სათესი ადგილები მეტად მწირი და უნაყოფოა. ვენახები კი ძვირად მოიპოვება, რადგანაც ცივ ჰაერის გამო ყურძენი არ მწიფდება. ყველა დიდ სიღარიბეს განიცდის, რადგან სარჩო გაზაფხულამდის არ სწვდებათ.

ხალხი სწავლა განათლებას ძლიერ ეწაფება. გარდა არსებულ ორკლასიან სავაჟო, სამინისტრო სასწავლებელისა, წარსულ ზაფხულს ხალხმა მოისურვა იქავე გაეხსნათ ერთ კლასიანი ქალთა სასწავლებელი, სადაც საგნებთან ერთად ასწავლიდნენ ხელსაქმეს. უკვე შეადგინეს განაჩენი, რაჭის მაზრის უფროსმაც თავის მხრით დახმარება აღუთქვა. მაგრამ ყოველივე მხოლოდ ამ დაწყებით განისაზღვრა. აღსანიშნავია ისიც, რომ ადგილობრივ ორ კლასიან სასწავლებელში, სადაც იმყოფება სამი მასწავლებელი. არც ერთს ჟურნალ-გაზეთი არა აქვს გამოწერილი.

**ი. კორდიშვილი.**

# ანგარიში
**3 იანვრის წარმოდგენისა მამა დავითის სკოლის სასარგებლოდ.**

შემოვიდა ბილეთების გასყიდვით სულ 716 მან. 35 კაპ. აქედან ხარჯი იყო: სამარკო გადასახადი 32 მ. 86 კ., ტანისამოსის შესანახი—35 მ. 5 კ., თეატრის ქირა 135 მ., რუსულ დრამატიულ წრეს რეჟისორისათვის 100 მან., საავტორო, სცენარიუსებს, ხორისტებს, სტატისტებს, თეატრალურ მუშებს, სუფლიორს და სხვა—105 მ. 25 კაპ., განცხადებანი გაზეთებში 9 მ. 75 კ., სხვა და სხვა წვრილი ხარჯი 14 მ. 90 კ., ტანისამოსი ქირით და შეკვეთილი—65 მ., მუქთა ბილეთები რეცენზენტებს და სხვათა 33 მ., სულ 530 მ. 81 კაპ.; დარჩა წმინდა შემოსავალი 185 მ. 54 კაპ.

**წარმოდგენის გამგე კნეინა ელისაბედ ირაკლის ასული ჯამბაკურიან-ორბელიანი.**

# „სახალხო გაზეთის“ კანტორისაგან:

**ახალ ხელის-მომწერთა საყურადღებოდ** ვაცხადებთ, რომ ზოგიერთი **ნომრები იანვრისა გამოილია.** ამიტომ, ის, ვინც თებერვლიდან გამოიწერს გაზეთს, იანვრის შემდეგ ნომრებს ვერ მიიღებს:

№ № 787, 792, 793, 794, 795, 798, 799.

# საგულისხმო ციფრები.

ფინანსთა სამინისტრომ ოფიციალურ გამოცემაში მოკლე ცნობანი მოათავსა 1912 წლის მუშათა მოძრაობის შესახებ. 1912 წელს გაფიცვათა რიცხვი იყო 1918; მონაწილეობას იღებდა 683,000 მუშა. ეს ციფრები რომ გასულ წლებთან შევადაროთ ფრიად საგულისხმო სურათი გადაიშლება თვალ-წინ:

| წელი. | გაფიცვ. | მუშა. |
|---|---|---|
| 1905 . . | 13,995 | 2.862,600 |
| 1906 . . | 6,114 | 1.108,000 |
| 1907 . . | 3,573 | 740,000 |
| 1908 . . | 892 | 176,000 |
| 1909 . . | 340 | 64,000 |
| 1910 . . | 222 | 47,000 |
| 1911 . . | 464 | 105,000 |
| 1912 . . | 1,918 | 683,000 |

როგორც ამ ციფრებიდან სჩანს, 1905 წელს, რევოლიუციის მძვინვარების წელს მუშათა გაფიცვამ უაღრეს წერტილს მიაღწია. შემდეგ იწყება „დამშვიდების“, „დაწყნარების“ ხანა და გაფიცვათა რიცხვმაც საკმაოდ იკლო. რასაკვირველია ეს იმას არ ჰნიშნავს, რომ 1905 წლიდან ვიდრე 1910 წლამდე მუშათა ცხოვრებაში ანორმალობა არ იყო, მაგრამ გაძლიერებულ რეაქციის გამო გაფიცვათა მოწყობა ყოვლად შეუძლებელი იყო. 1910 წელს კი გაფიცვათა რიცხვი თვალსაჩინოდ მატულობს, და 1912 წელი კი ამ მხრივ თითქმის უახლოვდება 1907 წელს.

# ბალკანეთის ომი
## დეპეშები.

24 იანვარი.

**სავოვის მოწოდება.**

**სოფია.** გენერალმა სავოვმა შემდეგი მოწოდებით მიჰმართა ლაშქარს: „ოსმალთა შეცდომა გამოირკვა: ჩვენთვისაც საჭირო იყო დრო, რათა მაკედონიიდან ჯარი გადმოგვეყვანა, მოგვეწესრიგებინა მრავალ ათასი ლაშქარი, მიგვეცა მისთვის დასვენების დრო, შეგვევგროვებინა საომარი იარაღი და სურსათი. ეხლა ჩვენ მზადა ვართ, უფრო უკეთ ვიდრე ომის დაწყებამდე, ვიდრე ლონდონში მოლაპარაკების დროს, როცა ოსმალებმა უარი გვითხრეს დაგვრჩენოდა ჩვენ დაპყრობილი ადგილები. ეხლა უნდა ვეძგეროთ და დავამარცხოთ სახელდახელოდ თავმოყრილი, გაუწრთვნელი ოსმალთა ჯარი. ბრძოლის ველზე უნდა უკარნახოთ და დავაწერინოთ ზავის პირობები. განა თქვენ მოითმენთ, რომ მტერს დარჩეს თქვენი გმირ-მეგობრების სისხლით მორწყული ადგილები? გახსოვდეთ, რომ ბრძოლის ველზე გმირულად დახოცილ მეომართა სულნი, რომელთაც თავი დასდეს ლოზენგრადსა, კოჩანსა, ბუნარ-გისარსა, ლიულე-ბურგსა, ჩათალჯის და ორდინთან, ზეციდან დაგცქერიან. ნუ თუ ჩვენი მამანი, დედანი, ცოლნი და შვილები მოითმენენ ისე დავბრუნდეთ სახლში, რომ მტერი ზღვის იქით არ განვდევნოთ? მათ სრული ნება აქვთ გვითხრან: „თქვენთვის აქ ადგილი არ არისო!“ მაშ იარაღით წინ გავსწიოთ ახალ გამარჯვებისკენ. ღმერთი იქნება ჩვენი მფარველი“.

**სტამბოლი.** ოფიციალურად იტყობინებიან, რომ ოსმალეთმა ხაზინიდან სესხი აიღოო.

როდოსტოდან დახევის დროს ბულგარებმა იარაღის საწყობები გადასწვეს.

**სოფია.** ოსმალეთის გალიპოლის ჯარი 23 იანვარს ბულგარებმა კავაკ-სუს მდინარესთან დაამარცხეს. დამარცხებულმა ჯარმა უწეს-რიგოდ დაიხია უკან. ამ გამარჯვების წყალობით მარმარილოს ზღვის მთელი სანაპიროები ბულგარების ხელშია.

**სოფია.** ვენიზელოსი ჩამოვიდა.

**პოდგორიცა.** ჩერნოგორიის ჯარის მთავარსარდალმა სკუტარის კომენდანტ ესად-ფაშისგან წერილი მიიღო. ესად-ფაშა სწერს: მივიღე დროებითი ზავის ცნობა, ამისთვის გთხოვთ გამოგზავნოთ ოფიცრები, რათა ნეიტრალური საზღვარი დავდოთო. მთავარსარდალმა უპასუხა: დღეს თავდება ვადა დროებით ზავისა და ამისათვის პაემანის დანიშვნა მეტიაო.

**სტამბოლი.** ხმები დადის, რომ ჯავშნოსანმა გემმა „მესუდიე“-მ ზარბაზანი დაუშინა როდოსტოს, საცა ოსმალეთის დივიზია ენვერ-ბეის უფროსობით გადმოვიდა.

**ბელგრადი.** ვენიზელოსი ებაასა „პოლიტიკის“ თანამშრომელს. იგი დიდად მადლიერია სერბიელთა გულმხურვალე დახვედრისათვის.

**სოფია.** ვენიზელოსი ინახულა გეშოვმა. საღამოთი ვენიზელოსი სალონიკში მიემგზავრება.

**ლონდონი.** ჩერნოგორიის დელეგატმა რუშკოვიჩმა რეიტერის კორესპონდენტს განუცხადა, ჩერნოგორელები სკუტარის ადე[illegible] დარწმუნებულნი არიანო.

**ლონდონი.** რეშიდ-ფაშამ ინსტრუქცია მიიღო, ლონდონში დარჩიო. ოსმალთა დანარჩენი დელეგატები დაბრუნდებიან სტამბოლში, გარდა ოსმან-ფაშისა, რომელიც ბერლინში მიემგზავრება.

### გაზეთებიდან

**სერბია-ბულგარეთის კავშირი.**

სერბიის ოფიციოზური გაზეთი „სამოუპრავა“ ასე განსაზღვრავს სერბიის როლს განახლებულ ომში: „სერბიამ, რომელმაც ბრწყინვალედ დაასრულა თვისი საქმე იმ ადგილებში, სადაც მის ჯარს უნდა ებრძოლა, ახლა გადაჭრით და ერთგულად უნდა დაუჭიროს მხარი თავის მოკავშირე ბულგარეთს, რათა ხელი შეუწყოს მის ბრწყინვალე გამარჯვებათა განმტკიცებას. ჩვენი მეზობელი და მოძმე ბულგარეთი, ისე როგორც დანარჩენი მოკავშირეებიც, დარწმუნდებიან, თუ რამდენად ერთგული და განუყრელი მოკავშირეა სერბიის ხალი, რომელსაც კარგად ესმის ბალკანეთის ერთა საზოგადო ინტერესები“.

**ადრიანოპოლის დამცველნი.**

ადრიანოპოლის ციხის დამცველმა შუქრ-ფაშამ, რომელსაც მამაცობისთვის ოსმალეთის მთავრობამ „ღაზი“ (უძლეველი) უწოდა, გამოსცა მოწოდება, რომლითაც აცხადებს, რომ იგი არაოდეს არ დასთანხმდება ციხის დანებებას და აფრთხილებს ადრიანოპოლში მცხოვრებ ბულგარელებს, თუ დანებების შესახებ ხმა ამოგიღიათ, განუკითხავად დაგხოცავთო.

# ბალკანეთი და ევროპა
## დეპეშები.

**ბუქარესტი.** დეპუტატთა პალატა. მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა: მთავრობა სილისტრიის დასაკუთრებაზე უარს არა ჰყოფსო.

**ბელგრადი.** „სამოუპრავა“ ჰოგენლოეს პეტერბურგში გამგზავრების გამო სწერს: ავსტრიის დამოუკიდებელი ურთიერთობა რუსეთის იმპერატორთან ხელს შეუწყობს ზავის განმტკიცებასაო.

### გაზეთებიდან.

**ავსტრიის დესპანი.**

თავ. ჰოგენლოეს მოგზაურობას პოლიტიკურ წრეებში დიპლომატიურ ურთიერთობას უკავშირებენ. ხელ-ახლად გავრცელდა ხმა გრაფ ბერჰტოლდის გადაყენების შესახებ, რომლის მოადგილეთაც კონსტანტინოპოლის ელჩს მარკიზ პალავიჩინის ასახელებენ. ჰოგენლოეს წასვლას, რომელიც ჯერ კიდევ ნოემ-

---

რომელიც ბრძანებს: წულისა ყრმასა ჯერ საშინაო ენას ასწავებდეთ და მერე საქვეყნოსასო“.

ამ ვრცელ ამონაწერში ძველ მოტივებთან ერთად ახალ მოტივებსაც იპოვით. ჩვეულებრივი „გმირული დროის“ საბუთების გვერდით ახალი საბუთი, უკეთ, ახალი სულიერი განწყობილება არის. მოვალენი ხართო, რადგან ერთგულები ვართ და სხვა ამგვარი მოსაზრებათა მოწმობა ერთი მხარეა დიმიტრი ყიფიანის მსჯელობისა, ხოლო მეორე, ახალი მხარე ამ მსჯელობისა ძველ ისტორიის მოგონებაა, წინაპართა გახსენება. ამ გახსენებაში თავის მოწონებაც არის, გულის გამაგრებაც და... თითქმის მუქარაც. ნადირშახებმა არა დაგვაკლეს რა და აბა თქვენ რას გვიზამთო. ეს მუქარა შეუგნებელია, ინსტიქტიურია, ხოლო მაჩვენებელია იმ ფაქტისა, რომ დიმიტრი ყიფიანის ნების-ყოფა უკვე ამოძრავებულია არა ვიწრო, წოდებრივ ინტერესების დასაცავად, არამედ ფართო და დიდ საქმისათვის, რომელსაც მოსარჩლე და პატრონი სჭირდებოდა.

სასკოლო და ენის საკითხის გამო გაცხარებული ბრძოლა გაჩაღდა. ნ. კ. ცხვედაძე სწერს დიმიტრი ყიფიანს, რომელიც 1881 წ. პეტერბურგში იმყოფებოდა: „აი ეხლა უფ. სტრელეცკი, ქართული ენის უცოდინარი დანიშნა (იანოვსკიმ) ხონის სამასწავლებლო სემინარიაში დირექტორად; ამის მაგივრად კიდევ, აქ საქართველოს გულში, სახალხო სკოლების დირექტორად გაამწესა უხეირო, გამოუცდელი, ქართული ენის უცოდინარი უ. დარსკი.. როდესაც სახალხო სკოლებისათვის დირექტორებს ეძებენ, იმას კი არ უცქერიან, ბლომად ჩინონ მართლად გამოსადეგი პირნი, არამედ იმას, რომ ისინი იყვნენ უეჭველად რუსნი... ჩვენ დიდად ვიმედოვნებთ, დასძენს ცხვედაძე, რომ თქვენ ამგვარ საქციელებას მანდ ყველას შეატყობინებთ. მის ბრწყინვალებას, გრაფ ლორის-მელიქოვს, როგორც წარჩინებულ სახელმწიფო მომქმედ პირს, არაფრად იამება აქაური სწავლა-განათლების მთავრობის მოქმედება. დარწმუნებული ვართ, რომ არც ბარონ-ნიკოლაის—სწავლა-განათლების ახალი მინისტრი—მოიწონებს, თუ კი დაწვრილებით შეიტყონ ყველა ეს. ღრმად პატივცემულო დიმიტრი ივანიჩ! როგორც თქვენ გტკივათ გული ჩვენი მამულისათვის, როგორც თქვენ გესმით ჩვენი ხალხის მდგომარეობა, ამ ხალხის აწინდელი და მომავალი ბედი, ისე არავის. ჩვენ ამაში დარწმუნებული ვართ. ამისათვის ისევ თქვენ უნდა იხმაროთ ყოველგვარი ღონისძიება და მანდ სიტყვიერის მოქმედებით ჩვენი სამშობლო საქმე გაასწოროთ“.

საგულისხმო სიტყვაა—„სიტყვიერების მოქმედებით ჩვენი სამშობლო საქმე გაასწოროთ“-ო. ღრმად სჯეროდა ჩვენს თავად-აზნაურულ ინტელიგენციას, რომ „სფერებში“ სიტყვიერის მოქმედობით სამშობლოს საქმეებს გამოაბრუნებდა. და ეს რწმენა ხომ მთავარი რწმენა იყო დიმ. ყიფიანის აზროვნებისაც. და ეს ასედაც უნდა ყოფილიყო, რადგან როდესაც ხალხის ბედი **სხვის კეთილსინიდისიერობაზეა** მიგდებული, იქ სხვა პოლიტიკა შეუძლებელია. და ჩვენი საქმე სწორედ ასეთი იყო, და ბევრისთვის დღესაც ასე არის. ჩვენს მოთხოვნას ვასაბუთებთ არა **უფლებრივ** ტერმინებით, არამედ ისევ ძველებურ **გმირულ** ტერმინოლოგიით — ასეთები ვიყავით, ისეთები ვიყავით; თქვენს კეთილშობილებას როგორ ეკადრება, არ შეისმინოთ ჩვენი ვედრებაო. მათი კეთილშობილება კი ყურს გვიგდებდა, თუ ჭკუაში მოუვიდოდა, გაგვიღიმებდა, თუ არა და ფეხებსაც დაგვიბრაცუნებდა. სწორედ რომ ჯადოსნურს წრეში ვიმყოფებოდით. გვინდოდა როგორმე გაგვეღღვია ეს წრე, ვერ ვახერხებდით. და ეს ხანა დიმ. ყიფიანის მოღვაწეობისა ნათლად გვიმტკიცებს, რა სულიერ ტანჯვას განვიცდით იმის გამო, რომ ჩვენს წინ ურდულ გაყრილი რკინის კარი აღიმართა და ვიდექით ულონონი მის წინაშე იმ იმედით, რომ ვილაც მოვა ჩვენს საშველად და ვიღაც გვიხსნის უბედურებისაგან. მაგრამ დიმ. ყიფიანის ნების პატრონისათვის კი ძნელი იყო დგომა ამ ურდულ-გაყრილ რკინის კარების წინ, და აკი არც მოინდომა იქ დგომა. მისი ნება შეეჯახა რკინის კარის ძალას. მაგრამ ნუ ავჩქარდებით... თავი და თავი კარგად გავიგოთ, რა მოხდა და რად მოხდა, რაც მოხდა. ამიტომ განვაგრძოთ ისევ შეწყვეტილი ამბავი.

მზრუნველი იანოვსკი არა სცხრებოდა. ჰხედავდა, რომ მისი მოქმედება პროტესტს იწვევდა, მაგრამ უკან არ იწევდა. „კავკაზი“-ს ფურცლებზე ხშირად გამოდიოდა თავის პოზიციის დასაცავად. ერთ წერილის გამო დიმიტრი ყიფიანი კიდევ გამოეკათამა იანოვსკის. მოაგონა ვორონცოვის დროის პედაგოგიური სისტემა და, სხვათა შორის, აღნიშნა შემდეგი ფაქტი. ბარონ ვრანგელის ქალი სწავლობდა საქალებო ინსტიტუტში. ქართული ენა ინსტიტუტში სავალდებულო იყო ყველასათვის, განურჩევლად ეროვნებისა. ვრანგელმა სთხოვა ვორონცოვს, გაანთავისუფლეთ ჩემი ქალი ქართული ენის გაკვეთილებისაგანო. „შემთხვევით, ამბობს ყიფიანი, დავესწარი მათ ლაპარაკს. „ძვირფასო ბარონ! უპასუხა ვორონცოვმა, თუ ჰფიქრობთ, რომ თქვენ ქალს აქ არ მოუხდება ცხოვრება, არამედ შიდა რუსეთში, რატომ არ მიაბარეთ პოლტავის, კიევისა ან სხვა ინსტიტუტში, სადაც მოისურვებთო“. ასე იყო წინად. და ეხლა კი არამც თუ არა ქართველებს, ჩვენც აღარ გვასწავლიან სამშობლო ენას და ათას დაბრკოლებას გვიჩენენ ამ საქმეშიო. „ხალხის ენის შებღალვა ხომ ამ ხალხის წმიდათა წმინდის შებღალვაა. ქართველებს არ უნდა აკადრონ ეს. ნუ დაივიწყებთ, რომ საქართველო დაპყრობილი ქვეყანა არ არის. ქართველები რუსეთის მონარქთა ქვეშევრდომობაში შევიდნენ ნებაყოფლობით და შეგნებულად“...

„საქართველო დაპყრობილი ქვეყანა არ არისო“. თუ არ არის დაპყრობილი, რა პირობით შეუერთდა რუსეთს? ამ საკითხს ჯერ არ აყენებენ, მაგრამ აზრი კი უკვე მის გარშემო ტრიალებს. ტრიალებს და კიდევ დიდხანს იტრიალებს, რადგან ჯერ კიდევ ცოცხალია ძველი დროის „კერპი“ და ჯერ კიდევ დიდი გროვაა ხალხისა ამ „კერპის“ სადიდებლად მოსული.

1882 წ. „Кавказъ“-ის № 328-ში სწერდნენ, რომ თურმე „იურიდიულ მიმოხილვას, რომელიც გამოდიოდა ტფილისში ფრენკელის რედაქტორობით, არ მოსწონებია ის გარემოება, რომ გაზეთ „კავკაზში“ ცნობა იყო მოთავსებული, დიმ. ყიფიანის გრამატიკა იბეჭდება და მალე გამოვაო. არ მოსწონებიაო? მაშ იცოდეს ბ-ნმა ფრენკელმა, რომ „საქართველო ისტორიულად არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი ერი, გარემოცული მტრულად განწყობილ ხალხების და სამეფოების მიერ „საქართველო დამსახურებულია ისტორიის წინაშე. მას სამსახური მიუძღვის აგრეთვე მართმადიდებელ ეკლესიის წინაშე“. ფრენკელებს ნუ ავიწყდებათ ეს გარემოება და გაფრთხილებით ილაპარაკონ ქართველთა საუნჯის, სამშობლო ენის შესახებო! ფრენკელების აზროვნებას ამგვარი საბუთი არა სცვლიდა, მთავრობამ კი მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ კამათი ფიცხდება და რომ ამიტომ გაზეთებში არ უნდა იბეჭდებოდეს ამ ხასიათის წერილები. დავით ერისთავი, „კავკაზის“ რედაქტორი, სწერს დიმიტრი ყიფიანს: „მივიღე თქვენი მშვენიერი წერილი ქართულ ენის შესახებ. თუმცა დიდის კმაყოფილებით ვბეჭდავ ხოლმე ყოველივეს, რაც თქვენს კალამს ეკუთვნის, მაგრამ ამ ჟამად ჩემ გაზეთს ვერ დავამშვენებ თქვენის წერილით. მთავარ გამგეობიდამ შენიშვნა მომივიდა „იურიდიულ მიმოხილვის“ შესახებ, რად დაიბეჭდა ასეთი ცნობაო. მწერენ, ნუღარ შეეხებით ამ სახიფათო საგანს. მაგრამ თქვენი მშვენიერი წერილის გამოუქვეყნელობა არ ივარგებს. გაუგზავნეთ „Голосъ“-ს რომელიც, იმედია, სიამოვნებით დაბეჭდავს თავის ფურცლებზე“. ამაზე დიმიტრი ორი დღის შემდეგ უპასუხებს: „მადლობელი ვარ, ძვირფასო კნიაზო, წერილის დაბრუნებისათვის. მაშ კატკოვის კომპანია (катковская клика) იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ მთავარი მმართველობაც კი ბანს აძლევს. წინასწარმეტყველი არ უნდა იყოს კაცი, რომ სთქვას, ყოველივე ეს სიკეთემდე არ მიგვიყვანს. მე კი მეგონა რომ მთავარი მმართველობას (глав. управ) სიკეთისაკენ მივყევართ. როგორ უნდა თანაუგრძნოთ ამ საქმეს, რომელიც ასე საზარალოდ უზნეოა“. დიმიტრიმ ვერ მოინელა ეს გარემოება. მისწერა წერილი მთავარ მმართველობის გამგეს, ბ. სტაროსელსკის: „მ. ხ. დიმ. სიმონისძე! ბევრი საქმე გაქვთ, ხოლო უმორჩილესად გთხოვთ მაჩუქოთ ხუთი მინუტი და ეს წერილი გადაიკითხოთ. თუ თქვენ, მმართველობის გამგე, სინიდისის ქვეშ გამომესარჩლებით და მეტყვით, რომ ამ წერილის დაბეჭდვა საჭირო და შესაძლებელია, გთხოვთ აცნობოთ „Кавказ“-ის რედაქტორს თქვენი აზრი, ვინაიდგან უთქვენოდ წერილის ბეჭდვას ვერა ჰბედავენო“. ჩვენ არ ვიცით, რა უპასუხა სტაროსელსკიმ. ვიცით კი, რომ მდგომარეობა არ შეიცვალა, პირიქით, უფრო გამწვავდა. ასე რომ „დროებაც“ ვეღარ ჰბედავს ამ საგნის შესახებ ხმის ამოღებას. აი რასა სწერს ვ. მაჩაბელი დიმ. ყიფიანს: „გაახლებთ ამასთანავე თქვენს წერილს „ბუნების კარის“ შესახებ და მოგახსენებთ მიზეზს აქამდე დაუბეჭდველობისას. მე ვერიდებოდი, რომ თქვენ წერილს რაიმე უსიამოვნება არ გამოეწვია. რაკი თქვენს წერილს დავბეჭდავდით, გოგებაშვილსაც მოეცემოდა უფლება ცხარე კრიტიკაზედ ცხარევე პასუხი დაეწერა. და ამგვარი პოლემიკა არ მოუხდებოდა ეხლანდელს დროს, როდესაც იანოვსკიმ სასტიკი ომი გამოუცხადა ქართველთა შორის განათლების საქმეს და თავის უკანასკნელ ცირკულიარში წ. კ. საზოგადოების გამგეობის წევრთა უწოდა „неразумные педагоги“. მაინც და მაინც თუ ისურვებთ თქვენის წერილის დაბეჭდვას, უკანვე გვიბოძეთ, მაშინვე დავბეჭდავთ“. ამის პასუხად დიმიტრი სწერს: „ჩხუბში მე თქვენი მხარე უნდა დავიჭირო და ჯერ-ჯერობით მაინც ისეთი არარა დაგაბეჭდინოთ რა, რომ კვერის დაკვრას ეგვანებოდეს მტრისას. მაგრამ გთხოვთ ეს გადასცეთ ბ. იაკობს, რომ თუ მეხუთედ დაბეჭდილს წიგნშიაც ამნაირი საპრალო ჩვენი ენის გაუპატიურება ვნახე, მაშინკი, ნურას უკაცრაოდ, რომ აღარც ჩხუბს მივჰხედო, აღარცა არავის ხათრი შევუნახო და მოურიდებლად და ვსთქვა ჩემი სათქმელი“...

ასეთი საზოგადოებრივი ატმოსფერო მომზადდა ოთხმოცი წლების დასაწყისში და დიმიტრის წინასწარმეტყველება, რომ ყოველივე ეს სიკეთემდე არ მიგვიყვანსო, მალე გამართლდა საუბედუროდ.

(შემდეგი იქნება)

**არჩილ ჯორჯაძე.**

რში იყო განზრახული, რუსეთ-ავსტრიის დამოკიდებულების განკარგებას აწერენ.

**ელჩთა კონფერენციაზე.**

ელჩთა ლონდონის კონფერენციაზე ირჩეოდა სკუტარის საკითხი. სამთა შეთანხმების სახელმწიფოები (ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი) დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ სკუტარი ჩერნოგორიას რგებოდა. რადგან დღეს სერბიის ჯარი დახმარებას უწევს ჩერნოგორიისას სკუტარის გარეშემო, იმედი აქვთ, რომ ქალაქი მალე დაემხობა და მით მისი ბედის გადაწყვეტაც გაადვილდება—მაშინ სკუტარის ვერავინ წართმევს ჩერნოგორიას.

**ავსტრიის მეფის წერილი.**

ვენიდან პეტერბურგს მივიდა ავსტრიის მეფის საგანგებო დესპანი, თავადი გოგენლოე, რომელსაც ფრანც იოსების წერილი აქვს გამოტანებული რუსეთის იმპერატორთან. უცხოეთის გაზეთების ცნობით, წერილში მილოცვაა რომანოვების სამეფო საგვარეულოს 300 წლის იუბილეს გამო, მაგრამ ამ კერძო წერილს სხვა მიზანიც აქვს თურმე, რის შესახებაც ჯერ-ჯერობით მხოლოდ ქარაგმით ლაპარაკობენ. იგონებენ ამ გვარსავე წერილს, რომელიც ავსტრიის მეფემ ალექსანდრე II გაუგზავნა 1874 წელს და რომელსაც მეფეების შეხვედრა მოჰყვა ქ. რეიხშტადში.

**ბულგარეთ-რუმინიის დავა.**

პეტერბურგიდან იუწყებიან, რომ ბულგარეთის შიში, თითქოს რუმინია სადავო ადგილების დაპყრობას აპირებდეს, საფუძველს მოკლებულია, რადგანაც რუსეთმა, თუმცა მეგობრულად, მაგრამ მაინც გადაჭრით განუცხადა რუმინიას, რომ იგი (რუსეთი) ვერ მოითმენს ამას და ენერგიულ საშუალებას იხმარს რუმინიის განზრახვის წინააღმდეგ.

**დაუჯერებელი ამბავი**

სერბიის ერთ-ერთი გაზეთი ასეთ დაუჯერებელ ამბავს გადმოგვცემს: ვენის სასახლეში სამხედრო პარტიამ გაიმარჯვა. სერბიასთან ომი გადაწყვეტილია. იმპერატორმა გადასწყვიტა ტახტიდან გადადგომა და ჰსურს უკანასკნელი დღენი მშვიდობიანად დალიოს. გადადგომა 15 თებერვლისთვისაა დანიშნული და უკვე დიდი მზადებაა ერცჰერცოგ ფრანც-ფერდინანდის ტახტზე ასასვლელად.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

24 იანვარი.

### საზღვარ-გარეთ

**ტოკიო.** ქვედა პალატაში კონსტიტუციონალ-ნაციონალისტებმა შეიტანეს პროექტი — გამოეცხადოს მთავრობას უნდობლობა. სანამ პროექტს კენჭს უყრიდნენ გამოაცხადეს უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც პარლამენტის მუშაობა ხელმეორედ შეჩერებულია 28 იანვრამდე.

**ტოკიო.** კაცურამ პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვა, აღნიშნა კაბინეთის პოლიტიკა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ინგლისთან კავშირს და რუსეთ საფრანგეთთან შეთანხმებას. კაცურამ განაცხადა: საქიროა სასტიკი დამზოგველობაო. მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში აღუთქვა 50 მილიონის გადარჩენება. კონსტიტუციონალისტ-ნაციონალისტებმა სასტიკად გააკრიტიკეს კაცურას პოლიტიკა და უნდობლობა გამოუცხადეს. პროექტზე ხელი ეწერა 234 დეპუტატს. ამის შემდეგ გამოაცხადეს პარლამენტის 8 დღით დათხოვნის ბრძანება. სხდომის დროს პარლიმენტის წინ შეგროვილი იყო ბრბო, რომელიც კაცურას პოლიტიკის წინააღმდეგ უზომო აღშფოთებას უცხადებდა.

**ლონდონი.** უელსში სახელმწიფოდან ეკლესიის გამოყოფვის ბილი საზოგადოებათა პალატამ მიიღო.

**კალკუტა.** პოლიტიკურ ნიადაგზე ტერორის გახშირებამ ამ ბოლო დროს ყურადღება მიიქცია.

### რუსეთი.

**გროზნა.** ეს მესამე დღეა რაც ახვერდოვის საპრეწველოში ნავთის შადრევანმა ამოხეთქა. დღეში იძლევა 50.000 ფუთზე მეტ ნავთს.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი მუსინ-პუშკინი სენატის წევრად ჩარიცხეს.

**მოსკოვი.** რეპინის სურათის აღსადგენად მუშაობა დაიწყო.

**პეტერბურგი.** გასულ წელთა ჩვეულებისამებრ ბეჭვდითი სიტყვის მთავარი სამართველო ჰმართავს ბეჭვდითი სიტყვის ნაწარმოებთა გამოფენას, გამოფენა დაიწყება 17 თებერვალს და გასტანს 14 აპრილამდე.

**პეტერბურგი.** საბირჟო და სამრეწველო კრება დასრულდა.

# წერ. რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადო იმ პირთ, რომელთაც დახმარება გამიწიეს 14 ამ იანვარს შობის ხის გამართვაში ჩემდამი რწმუნებულ საყარაულოს სამინისტრო სკოლის მოწაფეებისათვის.

შემომწირველთა სია: დავით საბას ძე მაჭავარიანმა 5 მ., ნინა თ. არჩვაძემ 3 მანეთის სათამაშოები, ს. გიორგობიანისამ 30 კ., კ. გოგოლაძემ, დ. მათურელმა, ვ. ქუთათელაძემ, ა. ქუთათელაძემ, შ. ათაბეგოვმა ტკბილეულობა ბავშვებისთვის.

საყარაულოს სამინისტრო სკოლის მასწავლებელი **ანნა ბაკურაძე.**

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო ცნობილს ქველმოქმედს თავ. დიმიტრი ივანეს ძე მაყაშვილს, რომლის მეცადინეობითა და დახმარებითაც ამა სამოსწავლო წლიდან გაიხსნა ჩემდამო რწმუნებული ს. იყალთოს სკოლა. მანვე შემოსწირა დედა-ენა I ნაწ. 53 ც., დედა-ენა II ნაწ. 53 ც., რვეულები 120 ც., ერთიც წყალის ბოჩკა.

სოფ. იყალთოს სკოლის მასწავლებელი კნ. ნინო გრიგოლის ასული **მაყაშვილისა.**

უმორჩილესად გთხოვთ იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც 6 იანვარს გამართულ ბალის ბილეთების ფასი არ გადაუხდიათ, დააჩქარონ მისი გადახდა, რადგანაც ამ ცოტა ხანში ფულის ანგარიში უნდა წარვადგინო სადაც ჯერ არს.

**კნეინა იულია კონსტანტინეს ასული თუმანიშვილისა.**

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

**15 ოქტომბრიდან.**

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო** № 8, სად. ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

**ბათომისაკენ: სახ.** №№ 107, დილ. 4 ს 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

**ბაქოსკენ: ნარევ.** № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

**ერევანისკენ: სახ.-საბ.** № 8;7; შუადღ. 1 ს. 6 წ.

**ჯულფისკენ: საფ.** № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

**ყარსისკენ: სახ.-საბ.** № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 9/10 6, ნაშ. 3 ს. 17 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან. ნარევ.** № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

**ბათომიდან: სახ.** № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

**ერევნიდან: ს.ხ.-საბ.** № 83;7, საღ. 5 ს. 28 წ

**ყარსიდან: სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

**ჯულფიდან: სახ.** № 43, დილ. 8 ს.

**ბორჯომიდან: სახალ.** № 9|10 0, დილ. 11 ს. 22 წ.

**მიხაილოვიდან სურამში: სახ.-საბარგ.** № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

**სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ.** № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.** № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ ს. 26 წ.

**ქუთაისიდან რიონში: სახ.** № 77 დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ **სახ.** 1, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5ს. 84 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

**რიონიდან ქუთაისს: სახ.** № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

**ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო** № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

**შორაპნიდან ქუთაისს: სახ** № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

**ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ.** № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 II, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 II, საღამ. 9 ს. 10 წ.

**სამტრედიიდან ფოთში; სახ.** № 3 II შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 II. საღ 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 II, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 Г ნაშ. ს. 8 წ.

**ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ქობულეთ.-დან ბათომს: სახ.** № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

**ნატანებიდან ბათომს: სახ** № 17, ნაშუად. 5 ს. 20 წ.

**ბათუმიდან ქობულეთში. სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს 58 წ.

**ბათომიდან ნატანებს: სახ.** № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

**მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ.** № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

**ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ.** № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

**პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.**

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და I—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.

## გემების მიმოსვლა

(ზამთრობით)

**15 ოქტომბრიდან,**

**შავ-ზღვაზე.**

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

**„ვაჭრობა-ნავოსნობის“**

საზოგადოების გემები.

**ბათომიდან გადის:**

1) პირდაპირი, **საფოსტო** გემი **შაბ.**, და **კვირ.**, ღამ. 12 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ოთხშ.** —შუა ღამის 1 ს. 58 წ.
№ 2. **პარასკეობ.**, შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. **სა.**, **შაბათ.**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომში მოდის:**

**ოდესიდან** პირდაპირი, **საფ.**, **პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.
№ 1. **სამგზ.**, **პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

**კასპიის ზღვაზე.**

**„კავკაზი და მერკური“**

საზოგადოების გემებისა.

**ბაქოდან გადის:**

**კრასნოვოდსკს**, ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ.
**ენზელს** პირდაპირი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

**ასტარას, ხუთშ.** ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

**ბაქოში მოდის;**

**კრასნოვოდსკიდან** ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
**ენზელიდა** ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.
**ასტარიდან** კვირ., ირგვლ. მოს. დილ. ს. 44 წ.

### სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 პ. **ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქაჯანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
ი. 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდია, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

### ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანი ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

# განცხადებანი

**დ. ზესტაფონში**

**ექიმი** კბილისა ბაბილინა ცხადაძე

იღებს ავადმყოფებს დღისით 9—3 ს. საღამოთი 5—7 ს. ასათიანის სახლში, საყდართან. 19

ახლად გაიხსნა

**სამშობიარო თავშესაფარი**

**ე. ლ. არშანინისა ღ ს. ს. ხატიევისა**

**ფეხმძიმეთა და მშობიარეთა მიღება** სწარმოებს ყოველ-დღე. არის საზოგადო და ცალკე ოთახებიც. მასსაჟისი და ყვავილის აცრა საბებიო საქმესა და დედათა სქესის ავადმყოფთა მიღებას და აგრეთვე ძიძათა შემოწმებას ყოველ-დღე სწარმოებს დილის 11—12 საათამდე. თავშესაფარის გამგე **ექიმი ა. გ. ავეტისოვი.**

**ვაგზლის ქუჩა № 12, ბინა 3.** 1018

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დილით:**

**„606“ და „914“**

**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ა. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგახაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელ.სა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინ. კანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

**საღამოთი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

**ექიმი ქალი გ. ლ. რენიგერ-არეშევასა** 6—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის 1604 დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

გამოსულია და იყიდება

**ნ. შიუკაშვილის პიესა „მეგობრობა“,** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**გამოსულია და იყიდება**

**ი. გედევანიშვილის პიესა „გამცემი“**

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

**ქ. შ. წერა-კითხ. გამ საზოგ. წიგნის მაღაზიაში**

**ისყიდება ჩვენი პოეტების პოემები და ლექსები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| აბაშიძე გრ. | ფ. 60 კ. | თამარიანი, გუგუნავასი | 50 „ |
| ბარათაშვილი ნ. | „ 40 „ | ორბელიანი ვახტ. | 60 „ |
| ბესიკი. სიტყვ.-კაზმ. საზ. გამ. | 1 მ.— | ორბელიანი გრ. რჩეული ლექს. | 20 „ |
| გურამიშვილი დ. „დავითიანი“ | 1 მ.— | სილოვანის ლექსები 1878—1894. | 50 „ |
| გურიელი მამია | 1 მ.— | ცისკარი. რუხაძის ლექსები | 25 „ |
| განდეგილის ლექსებ. | — 50 „ | შანშიაშვილი. შვების თავადი | 60 „ |
| დუტუ მეგრელი წ. I ლექსებ. | 70 „ | ჭავჭავაძე ალ. ლექსები | 30 „ |
| ერისთავი რაფ. წ. I | 1 მ.— | ჭავჭავაძე ილ. | 27 „ |
| ევდოშვილი, ლექსები და პოემები | 60 „ | წერეთელი აკაკი ტ. I | 1 მ.— |
| ვაჟა-ფშაველა | 1 მ.— | — — ტ. II | 1 მ.— |
| ვეფხის ტყაოსანი ქართველიშვილის გამოც. | 10 მ. 65 „ | — —ჩემი ნაწერ. ტ. I | 75 „ |
| „ ქ. შ. წ. კ. ს. გამ. | 60 „ | — — იგავ-არაკნი | 50 „ |

**ადრესი:** Тифлисъ О-ва распр. грамотности сред. гр. нас. 1141

**მუხრანის კერძო სამკურნალო**

**საწოლი კრაოტებით.**

19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, **ტელეფ. № 370.**

დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ

| | ექიმების მიერ: | დილით: | |
|---|---|---|---|
| შინაგანი სნეულებანი, ბავშვთა და მოზრდილ. | სპექტიორი გ. მ. | $8^1/_2—9^1/_2$ | ს. |
| | გაზაზოვი ა. ა. | 10—11 | ს. |
| | იაშვილი ა. ო. | 11—12 | ს. |
| | აბაკელია ი. ქ. | 12—1 | ს. |
| | ლოლობერიძე გ. მ. | $12^1/_2—1^1/_2$ | ს. |
| [illegible] | გრიგორიანი ა. ი. | 11—12 | ს. |
| | მელკონიანი გ. ა. | 12—1 | ს. |
| | ჯაში ი. ი. | $9^1/_2—10^1/_2$ | ს. |
| [illegible] | გრიგორიანი ა. ი. | 11—12 | ს. |
| [illegible] | ექიმი-ქალი საყვარელიძე დ. გ. | 11—12 | ს. |
| | ლოლობერიძე | $12^1/_2—1^1/_2$ | ს. |
| სნეულ. ყურ., ყელის და ცხვ. | შტრეიხერი მ. ა. | 12 $12^1/_2$ | ს. |
| [illegible] | შაპელნიკოვი გ. ი. | $1^1/_2—2^1/_2$ | ს. |

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“,** ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1581

მივიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი, ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა,

თევზის მრეწველნი

**ძმ. ძმველოვები.**

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.

ტელეფონი № 712.

1131

გამოსული ქერჩის სელიოტკები,

და ყოველგვარი

**კონსერვები.**

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თარ ი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზია მი **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი

**შავი ხიზილალა**

## კახეთის რკინის გზის გამყვანი გამგეობა

აცხადებს, რომ **ამ გზისათვის საჭირო ყველა სამოქალაქო შენობების**

აგებ **იჯარით გაიცემა:**

**I. შენობები ყოველგვარ მოწყობილობითა და ავეჯით:**

ა) 52 მოსამსახურეთა ბინა, რომელთა საერთო ზომა შიგნით უნდა უდრიდეს 301,6 ოთხკუთხ საჟენს.

ბ) 10 ნახევარ-ყაზარმა, რომელთა საერთო ზომა შიგნით უნდა უდრიდეს 221,2 ოთხკუთხ საჟ.

გ) 9 ყაზარმა, რომელთა შიგნითი ზომა საერთოდ უნდა უდრიდეს 301,03 ოთხკუთხ საჟ.

**II. სადგურის თითო-სართულიანი შენობები:**

ა) მგზავრთა სადგურები, რომელთა შიგნითი ზომა საერთოდ უნდა უდრიდეს 250 ოთხკუთხ საჟ.

ბ) საბინადრო შენობები—905 ოთხკ. საჟ.

გ) წყლის ცალფა სააუზე შენობები, რომელშიაც უნდა ჩაეტიოს წყალი 10 კუბ. საჟ. 1 ცალი; ორფა სააუზე შენობები, რომელშიაც უნდა ეტეოდეს 2/10 კუბ. საჟ.—1 ცალი და ცალფა სააუზე შენობები, რომელიც უნდა იტევდეს 8 კუბ. საჟ. წყალს—2 ცალი.

დ) წყლის ასაზიდი შენობები, საბინადრო გამართულ შენობებითა 2 ცალი, რომელთა საერთო ზომა შიგნით უნდა უდრიდეს 35 ოთხკ. საჟ.

ამ სამუშაოთა იჯარით გაცემა შეიძლება ერთს პირზე, ან ნაწილ-ნაწილ, მოცილეთა არჩევით და რკინის გზის გამგეობის განაწილებით.

**სამუშაოები უნდა დასრულდეს შემდეგ ვადებზე:**

ა) სადგურ ნავთლუღიდან დაწყებული მე-44 ვერსამდე, ქვითკირის შენობები უნდა მოთავდეს 1913 წ. ოქტომბერს, სდურგლო საქმე, სასტალარო და გადახურვისა—1914 წ. 1 იანვარს, საბოლოოდ დასრულება და ჩაბარება 1914 წ. 1 ივნისს.

ბ) მე-44 ვერსიდან მე-91 ვერსამდე—ზემოხსენებული პირველი დარგი 1913 წ. 1 ნოემბერს, მეორე 1913 წ. 1 თებერვალს, მესამე—1914 წ. 1 ივნისს.

გ) მე-91 ვერსიდან 108 ვერსამდენაც იმავე ვადაზე.

დ) 108 ვერსიდან თელავის სადგურამდე და გურჯაანის სადგურიდან წნორის წყლის სადგურამდე: პირველი დარგისა 1914 წ. 1 იანვარს, მეორე—1 აპრილს, მესამე—1 ივლისს.

როდესაც გამგეობა მოცილეთა შორის არჩევანს მოახდენს და ამას გამოაცხადებს, მოიჯარადრენი მოვალენი არიან 15 დღეში წარმოადგინონ ძირითადი სათავდებო თანხა (ბე), მთელი იჯარის ღირებულების 5%, რომელიც მერე თანდათან შეივსება 10% დაჭერით იმ თანხიდან, რომელიც შესრულებულ სამუშაოში ერგებათ, რათა შესდგეს 1/3 დარჩენილ სამუშაოს ღირებულებისა; ამას მერე კი, თანდათანვე უბრუნდებათ დამატებითი სათავდებო თანხა.

შეცილების შედეგი და პირობის წერილთა პროექტები უნდა დაადასტუროს საზოგადოების გამგეობამ.

ფასები უნდა ჩამოსწერონ განსაკუთრებულ ბლანკებზე, რომელსაც გამგეობის სატეხნიკო განყოფილება მისცემს.

გეგმები შენობებისა, ტეხნიკური საზოგადო პირობები, და აგრეთვე სამოქალაქო შენობათა ცნობანი შეიძლება გამგეობის ტეხნიკურმა განყოფილებამ განიხილოს:

1) ამ წლის 28 იანვრიდან—გზის შენობებისა, საბინადრო სახლებისა და სამგზავრო შენობებისა, გურჯაანის სამგზავრო სადგურის გარდა.

2) სამგზავრო სადგური გურჯაანისა და აგრეთვე წყლის სააუზე და წყლის ასაზიდი შენობებისა—ამ წლის 5 თებერვლიდან.

ფასებ აღნიშნული ფურცლები უნდა წარედგინოს, ან ფოსტით გამოეგზავნოს, **გამგეობას (ტფილისი, ელისაბედის ქუჩა № 73).** დაბეჭდილ კონვერტით არა უგვიანეს ამ წლის **2 თებერ.**, შუადღის 12 საათისა, ზედწარწერით: **„სამოქალაქო შენობათა მოცილეობისათვის“.** 1037

ტფილისი მუხრანის ქუჩა № 12 სტამბა „შრომა“.